

ეკატერინე მაისურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის შენარჩუნების მთავარი მარკერი

XVI საუკუნეში ოსმალთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიტაცება დიდი ტრაგედია იყო სრულიად საქართველოსთვის. სამშობლოს მოწყდა მისი ტერიტორიისა და მოსახლეობის ერთი მესამედი. ისინი ეროვნული კულტურის შემდგომ განვითარებაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებდნენ. დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ხალხში მშობლიური ქართული ენა, ქრისტიანული რელიგია, ზნე-ჩვეულებანი. ქართველების გასათურქებლად ოსმალები ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის მოსახლეობა ადვილად არ თმობდა თავის მრავალსაუკუნოვან მაღალ კულტურას, ზნე-ჩვეულებებსა და სარწმუნოებას. ისინი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს, რის გამოც ოსმალთა დამპყრობლები ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ მათი წინააღმდეგობის გატეხას.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა შეძლეს ისლამის გავრცელება აჭარაში, თავის მიზანს ბოლომდე მაინც ვერ მიაღწიეს. მოსახლეობა ვერ გაათურქეს; ვერ წაართვეს მათ ვერც ენა და ვერც საერთო ეთნიკური ცნობიერება.

ჩემს მოსხენებაში შევეცდები განვიხილო, თუ როგორ შეძლეს ბათუმის ოლქის ქართველმა მუსლიმებმა იდენტობის მთავარი მარკერის, მშობლიური ენის შენარჩუნება ოსმალთაგან დიდი ზეწოლისა და იძულებითი საშუალებების გამოყენების მიუხედავად. ასევე მსურს, რომ შევაფასო თავად აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი როლი ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

ეთნიკური ჯგუფი კულტურული ერთობლიობის ის სახეობაა, რომელიც ხაზს უსვამს წარმომავლობის შესახებ მითებისა და ისტორიული მეხსიერების როლს და რომელიც ერთი ან მეტი კულტურული განმასხვავებელი ნიშნით ამოიცნობა. ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს რელიგია, წეს-ჩვეულებები, ენა ან ინსტიტუციები. ასეთი კოლექტივები ორმაგად „ისტორიულნი“ არიან. ისტორიული მეხსიერება მათი არსებობის გაგრძელების მთავარი პირობაა (სმიტი, 1990:26).

ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის...

ენას, რელიგიას, წეს-ჩვეულებებს ძალიან ხშირად ვიშველიებთ ობიექტური „კულტურული მარკერის“ დახასიათებისას. ეს ისეთი განმასხვავებელი ნიშნებია, რომლებიც ინდივიდთა ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და თითქოს კიდევ ბოჭავს მათ (სმიტი, 1990:29) .

კოლექტიური კულტურული იდენტობა გულისხმობს არა თაობიდან თაობამდე ელემენტების ერთფეროვნებას, არამედ მოცემული პოპულაციის კულტურული ერთობის შიგნით თაობათა შორის მემკვიდრეობითობის განცდას. ცვლილება კულტურულ იდენტობაში ასახავს იმას, თუ როგორ ცვლის მანვე გარემოებანი კულტურის იმ ელემენტების ძირეულ მოდელებს, რომლებიც ერთობის ცნობიერების შემადგენელი ნაწილებია; ესენია ზიარი მესხიერება და საერთო ბედის გაცნობიერება მოცემული პოპულაციის კულტურულ ერთობაში (სმიტი, 1990:32) .

ხშირად არცთუ მთლად სასიკეთო გარეგანი ფაქტორებისა და მდიდარი „ეთნო ისტორიის“ კომბინაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ეთნიკური იდენტობების კრისტალიზაციას და მათ შენარჩუნებას. ეთნი ყალიბდება არა ფიზიკური ჩამომავლობის, არამედ განგრძობადობითობის შეგნების, საერთო მესხიერებისა და საერთო ბედის, ანუ კულტურული ნათესაობის წყალობით. ეთნისა და დამწერლობის, გარკვეული ღირებულებების, კონკრეტული გარემოსა და მისი მონატრების, ხანგრძლივი სოციალური ურთიერთობების, რელიგიური და კულტურული განმასხვავებელი ნიშნებისა თუ თვით განსაკუთრებულობის თვალსაზრისით, მოხერხდა ქართული იდენტობისა და ეთნიკურობის საერთო განცდის შენარჩუნება, მიუხედავად იმ მრავალი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებისა, რომლებიც თავს იჩენდა აჭარის რეგიონში ოსმალთა ბატონობის პერიოდის დიდან.

აღსანიშნავია, რომ საერთო ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულმა ენამ. სწორედ მშობლიური ენა იქცა ქართული იდენტობის მთავარ მარკერად ოსმალთა აჭარაში, თუმცა აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში უდიდესი როლი თავად აჭარის მოსახლეობამ ითამაშა ოსმალთა ბატონობის დასაწყისიდან მისი დედასამშობლოსთან დაბრუნების პერიოდის ჩათვლით. აჭარის სახელოვანი მამულიშვილები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, შეენარჩუნებინათ ენა, რათა გათურქების საფრთხე თავიდან აეცილებინათ.

ქართველების გასათურქებლად ოსმალები ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ: წვაგდნენ და არბევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, ანადგურებდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს, შორეულ მხარეებში ასახლებდნენ და ფიზიკურად ანადგურებდნენ ხალხს. ოსმალების მთავრობა უფლებას აძლევდა თავის ჯარს ემოქმედა ისე, როგორც ამას ყურანი და საკუთარი ზნე-ჩვეულება ქადაგებდა. თვით ოსმალებისადმი სიმპათიურად განწყობილი გლადსტონი ასე ახასიათებს მათ: „სადაც თურქები შეიჭრებოდნენ,

ეკატერინე მაისურაძე

სისხლიანი კვალი ჩნდებოდა და ყველგან, სადაც მათი ბატონობა მყარდებოდა, ქრებოდა ცივილიზაცია“ (Гладстон,1976:10) .

თუმცა უნდა ითქვას,რომ ოსმალებმა ვერ შეძლეს მტკიცე ხელისუფლების დამყარება აჭარაში. მას ადგილობრივი ბეგები განაგებდნენ,რომელთა მიმართ სულთანი გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. „ამით აიხსნება ის ფაქტი,რომ აჭარაში უამრავი სანჯაყები იყვნენ: ხიმშიაშვილები, აბაშიძეები, თავდგირიძეები, მაშინ როდესაც ტერიტორიულად აჭარა ერთი სანჯაყის მოცულობას თუ გაუტოლდებოდა“ (ავალიანი:60-61)

აჭარაში ქრისტიანი ყოველგვარ უფლებებს იყო მოკლებული. ისლამის მიღებით კი ისინი დიდ პრივილეგიებსა და ჯილდოს ღებულობდნენ. ქრისტიანს სიკვდილით დასჯა ელოდა უბრალო დანაშაულისთვის, ხოლო ეპატიებოდა სასჯელი, თუ იგი გამაჰმადიანდებოდა.მაგრამ ყველაზე აუტანელი აჭარის მოსახლეობისთვის მიწათმფლობელობის ოსმალური წესის გავრცელება იყო. „კანონის თანახმად, მიწას ის ფლობდა, ვინც სამხედრო სამსახურს ეწეოდა.უკანასკნელი კი შეიძლებოდა მხოლოდ მაჰმადიანი ყოფილიყო, ე.ი. გლეხს ან მიწა უნდა დაეკარგა, რომლის გარეშე მას არსებობა არ შეეძლო, ან მაჰმადიანური რჯული მიეღო, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, აჭარის მოსახლეობა იძულებული გახდა მაჰმადიანობა მიეღო“ (მეგრელიძე,1969:8) .

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, მართალია, აჭარლებმა მიიღეს ისლამი, მაგრამ შეინარჩუნეს ენა და ქართული ზნე-ჩვეულებანი.

თურქები ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა მათთვის ქართული ენა დაევიწყებინათ. „ისინი აჭარლებს ცოლად ართვევინებდნენ ქურთ და თურქ ქალებს, უცვლიდნენ გვარებს, ხოლო ვინც ქართულად ლაპარაკობდა, მას აჯარიმებდნენ, სახელმწიფო ენად თურქული ენა იყო შემოღებული და სხვა, მაგრამ ენის დავიწყების საქმეში მათ მაინც ვერაფერი გააწყვეს“ (ახვლედიანი,1944:104).

თურქეთის ბატონობის დროს ქართული ენა დიდხანს იყო შენახული სხვადასხვა ფორმით. ხშირად ქართული ასოებით თურქულად წერდნენ. „ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი საბუთი, რომელიც ადასტურებს,რომ აჭარაში თურქულ-არაბული წერა-კითხვა არ იცოდნენ, ხოლო სალაპარაკო ენა სცოდნიათ თურქული და სწერდნენ კი ქართული ასოებით. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერის ასლი დაცულია საქართველოს მუზეუმში“ (ახვლედიანი,1944:104) .

თ.სახოკიას ხულოს რაიონში მოგზაურობის დროს, ვინმე ბეჟანიძის სახლში უნახავს ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერი ეგრეთ წოდებული „ანბანთქება“,რომელიც დაწერილი ყოფილა თვით ბეჟანიძის დედის მიერ (სახოკია, „მოამბე“ N12,1901) .

ისლამის გავრცელებას აჭარაში ოსმალთა მხრიდან ფართო სააგიტაციო საქმიანობაც უწყობდა ხელს. აგიტატორებად კი უმთავრესად ხოჯა-მოღები ითვლებოდნენ. თავდაპირველად ისინი თურქეთიდან იყვნენ. ბუნებრივია, რომ ხოჯები ემსახურებოდ-

ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის...

ნენ გაბატონებული კლასის ინტერესებს. ისინი იყვნენ არა მარტო ისლამის აგიტატორ-პროპაგანდისტები, არამედ ამავე დროს ოსმალეთის დახელოვნებული აგენტები. შემდეგ უკვე თვით აჭარელთაგან დაიწყო მოლა-ხოჯების აღზრდა-გამოშვება. ამ ადგილობრივი ხოჯებიდან ზოგნი უნებლიეთ იჩენდნენ პატრიოტულ განწყობილებას თავისი ქვეყნისადმი, ცდილობდნენ ელაპარაკათ ქართულად. ასეთებს ოსმალთა მოკავშირე ხოჯები მაშინვე სტამბულში აბეზღებდნენ სულთანთან. ერთი ასეთი შემთხვევაა ცნობილი: ქედის მუფთი ხოჯა ახმედ-ეფენდი ხალიფაშვილი მედრესეში თალიბებს (მოსწავლეებს) ქართულად ასწავლიდა. მას ეს გაუგეს და დაპატიმრება დაუპირეს. მან კი თავი ასე იმართლა: „ჩვენ ქართველები ვართ, მეც ამ ენით ვქადაგებ, რომ ისლამი უკეთ გავაცნო-შევასწავლო“ (ახვლედიანი, 1944:109).

უფრო მეტიც, ქედაში ყოფილა ერთი ხოჯა, ისმაილ ეფენდი ხალიფაშვილი, მას სულთანთან გაუკეთებია საქმე იმის შესახებ, რომ ქართულ ენაზე შეედგინა ყურანის სახელმძღვანელოები იმ მოტივით, რომ ქართულ ენაზე უკეთ შევასწავლი ისლამსო. სულთანი ამაზე დათანხმებულა და ხალიფაშვილი ასეთი სახელმძღვანელოთი ასწავლიდა ხოჯებსა და მოსწავლეებს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე. შემდეგ ოსმალებს შეშინებიათ და აუკრძალავთ: თქვენ ქართველები ხართ და ვერ გენდობითო.

არ არის გამორიცხული, ოსმალებმა ეს „დათმობის“ მანევრი აჭარლებისადმი პირველ ხანებში მათზე ზემოქმედების მიზნით გამოიყენეს, ხოლო მიზნის მიღწევის შემდეგ კვლავ აუკრძალავთ იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარელ ქალებს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი წარსული კულტურის შენახვა-შენარჩუნების საქმეში. ქართული ენის, ზნე-ჩვეულებების დაცვა უმთავრესად ქალებს ხვდათ წილად. ამ მდგომარეობას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქალები სახელმწიფო-საზოგადოებრივ საქმიანობაში არ იყვნენ ჩაბმული. ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა აჭარაში ქართული ენისა და ზნე-ჩვეულებების შენარჩუნების საქმეში. როგორც ამბობენ, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, და აი, აჭარელი ქალის საზოგადოებრივმა უუფლებობამ დადებითი როლი ითამაშა საერთო ეროვნულ საქმეში.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებით აღტაცებულმა ქართველმა საზოგადოებამ მუსლიმანი ქართველების პატივსაცემად დიდი ბანკეტი გამართა, 1878 წლის ნოემბერში აჭარის დელეგაცია მიიპატიჟეს თბილისში. ქართველი საზოგადო მოღვაწეები სიხარულითა და სიამაყით აღნიშნავდნენ, რომ წინაპართა ანდერძი აღსრულდა – ანდერძი, რომლის მთავარი მიზანი დედაენისა და ეროვნულობის შენარჩუნება იყო. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და კიდევ სხვანი ქართველ მუსლიმებთან კავშირის საუკეთესო საშუალებად და ფორმად მიიჩნევდნენ სწავლის, ცოდნისა და მეცნიერების შეტანას მაჰმადიან ქართველებში. ილია ამბობდა, რომ ორი ძმის სულიერი შეკავშირებისათვის ყველაზე უფრო ძლიერი იარაღია მშობლიური ენა, ქართული სიტყვაო. მართლაც,

ეკატერინე მაისურაძე

ი.ჭავჭავაძის ინიციატივით 1881 წელს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, სადაც ცოდნას ეზიარნენ ქართველ მაჰმადიანთა შვილები. „ამ სკოლამ აჭარელ ახალგაზრდობას მისცა მეცნიერული ცოდნის საფუძვლები და თან სამშობლოს სიყვარული გაუძლიერა (ხ.ახვლედიანი,1972:45) .

ქართული ენის შემდგომი განმტკიცების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი თავად აჭარელ მუსლიმებს მიუძღვით. მინდა რამდენიმე მათგანის ღვაწლზე ვისაუბრო და შევაფასო მათი მოღვაწეობა. აჭარის დიდი პატრიოტი გულო კაიკაციშვილი გაზეთ „ივერიისა“ და „დროების“ კორესპონდენტი იყო და სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს აჭარის ცხოვრებაზე. იგი 1878 წელს „დროების“ რედაქტორისადმი გაგზავნილ წერილში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მის წინაპრებს სცოდნიათ ქართული ენა, სათუთად უფროსილდებოდნენ და ზრუნავდნენ, შთამომავლობისათვისაც ესწავლებინათ. „თქვენი გაზეთის ძველმა მკითხველმა ბებიანების ნასწავლი ანბანით წავიკითხე თქვენ გაზეთში ამბავი ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ“ (ახვლედიანი,1972:53).

აკაკის საფლავზე წარმოთქმულმა მისმა გამოსათხოვარმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. იგი აქაც აღნიშნავდა, რომ სამასი წლის განმავლობაში შეინახა აჭარამ მშობლიური დედაენა. გულო კაიკაციშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნას და ამისთვის არ იშურებდა საკუთარ ქონებას. ქართული სკოლის გახსნა, ქართული მწიგნობრობის გავრცელება, ქართული თეატრის დაარსება, ქართული წიგნსაცავის შექმნა-მას სწორედ ეს მიაჩნდა აჭარის კულტურული აღორძინების მთავარ საშუალებად.

ხალხური მოქმედი მემედ ჭყონია უმღეროდა სამშობლოს, საქართველოს ერთიანობას. მისთვის დედას, იმ დროისთვის ქართული ენის კარგად მცოდნეს, შეუსწავლეს ბია წერა-კითხვა და ჩაუნერგავს სიყვარული მშობლიური ენისადმი. მემედი კარგად იცნობდა ქართველ მწერალთა და პოეტთა შემოქმედებას.

ქართული ენის შემდგომი აღორძინების საქმეში გამორჩეული წვლილი მიუძღვის მემედ აბაშიძეს. მან განათლება მიიღო ბათუმის მაჰმადიან ქართველთა პირველ სკოლაში, რომელიც ი.ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით 1881 წელს გაიხსნა. აქედან დაიწყო მისი გათვითცნობიერება. პირველ შთაბეჭდილებებს „ქართველობის შესახებ მემედი ასე გადმოგვცემს: „მიღებული იყო წესად, როცა შეეკითხებოდი ქართველ მაჰმადიანებს ვინა ხარ შენ? იგი უთუოდ გიპასუხებდა: ვარ თათარი. ეს საკითხი მაწვალებდა; ენა ქართული, გვარი ქართული, წეს-ჩვეულება ქართული, ეროვნება თათარი? მამას კვითხე: ვინ ვართ ჩვენ? მართალია, რომ თათრები ვართ? – არა შვილო, – მიპასუხა, ჩვენ მუსლიმანები ვართ, ხოლო ეროვნებით ქართველებიო. მე ამ საკითხით დაინტერესებული ვიყავი. სკოლაში მასწავლებელმა მკითხა „ვინ ხარ შენო“? ვუპასუხე: მე ეროვნებით ქართველი ვარ. ამის გაგონებაზე თანაკლასელებმა მე შემხედეს, როგორც რჯულის გამყიდველს

ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის...

და ქრისტიანს. აი, აქედან იწყებს მემედი თავის მოღვაწეობას ქართველი მაჰმადიანების გათვითცნობიერების დიდი საქმის განსახორციელებლად (ახვლედიანი,1972:68).

თედო სახოკია მემედ აბაშიძეს გასცნობია ახალგაზრდობაში,როცა იგი 16-20 წლის ყოფილა. თედო სიამოვნებით იგონებს მემედთან საუბარს: „წმინდა ქართულად ლაპარაკობდა, თურქულს ქართულში არ ურევდაო; რომ უფრო ვესიამოვნებინეთ, მოგვიყვა აკაკის, გ.ჭალადიდელის, მ.გურიელის ლექსები, თანაც იმდერა „სამშობლო ხევსურისა“, რომლის როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა. ბოლოს ნაღვლიანად დასძინა: უფრო მეტი მეცოდინებოდა, მაგრამ სულ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო“ (სახოკია:244) .

მემედ აბაშიძე დიდად ყოფილა დაინტერესებული აჭარაში სწავლა-განათლების დანერგვით, მოითხოვდა ბეჭდური სიტყვის გავრცელებას, ლექციებისა და რეფერატების კითხვას საჭირობოროტო საკითხებზე, სკოლების, ბიბლიოთეკების გახსნას და სხვა. ამ საქმეში მთავარ ძალად მას ქრისტიანი ქართველები მიაჩნდა და ყველანაირად ცდილობდა მათთან აჭარის მოსახლეობის დაახლოებას. სწორედ მემედ აბაშიძე იყო ის პიროვნება, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ რეგიონის ქართული მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში. „ერთი ვინმე მამულიშვილი თუ იამაყებს თავისი ქართველობით, დამერწმუნეთ, მეც ვამაყობ ჩემის ქართველობით...“ (კომახიძე,1993:53) .

მის პუბლიცისტურ შემოქმედებას ძირითად ლაიტმოტივად გასდევს ქართული ენისადმი ზრუნვა და დაფასება. „მწამს, ქართული ენა ჩქარა დაიჭერს თავის ბუნებრივ ადგილს ჩვენს მხარეში, მაშინ ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოეღება, ვინაიდან ქართული ენა ბევრ რამეს გადასცემს ხალხს თავის წარსულისას, გააცნობს ძველი თაობის ჭკუა-გონებას, ვინაობას, თავისებურს სამშობლოს სიყვარულსა და აგრძნობინებს წინაპართა პატივისცემას. მაშინ მუსლიმანი ქართველები შეიქმნებიან ჭეშმარიტი შვილნი დედა სახელმწიფოსი“ (გაზეთი „სახალხო საქმე“N898:1920). იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ენა მათი მშობლიური ენა იყო და მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდებოდა. „სიტყვა ქართული წარმტაცია, საამური, სურათოვანი და შინაარსიანი; მას მოვლა-პატრონობა, განახლება და განვითარება სჭირდება“ (აბაშიძე,1998:1) .

სამუსლიმანო საქართველოში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პავლე ინგოროყვა. იგი ქართული ენის გავრცელების შესახებ აღნიშნავს, რომ XIX საუკუნეშიც კი, მიუხედავად თურქთა ბატონობისა, დედა-ენა ქართული იყო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ მხრივ ბათუმის ოლქი გამორჩეული იყო. „ბათუმის მხარეში ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა...ბათუმის ოლქის მთელი მუსულმანი ქართველობა ლაპარაკობს უწმინდეს ქართულ ენას“ (ინგოროყვა,1990:23) .

ეკატერინე მაისურაძე

პ.ინგოროყვამ შეადგინა ამ მხარის მოსახლეობის შესახებ ცნობა, რომელიც 1918 წელს ივლისის კონსტანტინეპოლის კონფერენციისათვის მოამზადა. ის ადასტურებს, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა სარწმუნოებით მუსლიმია, ნაწილი კი – ქრისტიანი. „ქართველ მუსულმანებში წმინდად არის დაცული ქართული რასა, დიდ ნაწილს შეუნახავს ქართული დედა ენა, და მთელი ხალხი დღემდე თავის თავს გურჯს(ე.ი.ქართველს) ეძახის (ინგოროყვა,1990:21) .

„ბათუმის ოლქის მკვიდრნი,სარწმუნოებით მუსლიმანები,ისტორიით,სისხლითა და ხორციით,ენით,კულტურითა და ადათებით ქართველები ვართ,მუსლიმანი ქართველები...ჩვენი მხარე ყოველთვის დედა სამშობლოს,საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა“, – ვკითხულობთ 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმთა ყრილობის დადგენილებაში (სილაგაძე, გურული,1996:33) .

უდიდესი როლი ითამაშა ამ კუთხით „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ და მის მიერ დაარსებულმა გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველო“,რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებს. გაზეთში რეგულარულად იბეჭდებოდა წერილები მათი ქართული ეთნიკური იდენტობისა და საერთო წარსულის შესახებ.

და ბოლოს, მინდა დასკვნის სახით აღვნიშნო, რომ მშობლიურმა ქართულმა ენამ უდიდესი როლი შეასრულა აჭარის რეგიონის მუსლიმი მოსახლეობის ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში. ქართული ენა ნამდვილად გახდა ყველა ქართველის დამაკავშირებელი რგოლი. არ შეიძლება დადებითად არ შევაფასო თავად აჭარის მოსახლეობის, მისი სახელოვანი მამულიშვილების დეაწლი ამ ფრიად მნიშვნელოვან, საშვილიშვილო საქმეში. მათმა საქმიანობამ ხომ ხელი შეუწყო ქართული ენის შემდგომ განმტკიცება-განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიძე მ., ფიქრები საქართველოზე, გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი,1998

ავალიანი ა., მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი,1960

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N417

ახვლედიანი ხ.,ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (XVI-XIXსს),აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა,ბათუმი,1944

ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის...

ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის
ბერძოლნი, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1972

ინგოროყვა პ., საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ.
თბილისი, 1990

კომახიძე თ., მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1993

მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბი-
ლისი, 1963

სახოკია თ., „მოამბე“ N12, 1901

სახოკია თ., მოგზაურობანი,

სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს განუყოფლობისათვის
ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვეთი I, „სამშობლო“, თბილი-
სი, 1996

სმიტი ე., ნაციონალური იდენტობა, თბილისი, 1990

Гладстон В., болгарские ужасы и восточный вопрос, 1876